



ფსიქოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფსიქოლოგიის ბაკალავრი

კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: დიმიტრი ნადირაშვილი

საკონტაქტო პირი და ნომერი: თინა გოროზია 598 97 77 51

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფსიქოლოგია“ სტუდენტს აძლევს ცოდნას ზოგადი, სოციალური, სამედიცინო, ბავშვთა, პიროვნების ფსიქოლოგიის მიმართულებით, უფიქრებს ფსიქოლოგიისთვის საჭირო პრაქტიკულ ჩვევებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ქართული და მსოფლიო ფსიქოლოგიური სკოლების მიღწევებს.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი. პროგრამა მოიცავს: 6 საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანს (42 კრედიტი), სპეციალობის 20 სავალდებულო კურსს (120 კრედიტი), სპეციალობის 6 არჩევით კურსს (36 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 18 კრედიტი). სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და/ან თავისუფალი არჩევითი კურსებით ან აირჩიოს დამატებითი (minor) სპეციალობა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან.

პროგრამაში ჩართული დარგის წამყვანი სპეციალისტები და მკვლევარები უზრუნველყოფენ კვალიფიციური კადრის მომზადებას, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე.

სტუდენტმა სწავლა შეიძლება გააგრძელოს ორ სამაგისტრო პროგრამაზე: „ფსიქოდიანოსტიკა და კონსულტირება“ და „სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია“, ასევე სხვა უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ფსიქოლოგიის მიმართულებით.

კურსდამთავრებული შეძლებს წარმატებით იმუშაოს ფსიქოლოგიის პოზიციაზე სკოლაში, საბავშვო ბაღში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, საწარმოო ორგანიზაციაში, სარეკლამო სააგენტოში, სამედიცინო დაწესებულებებში და სხვ.

1. მიზანი

პროგრამის მიზანია საერთაშორისო და ეროვნულ პროფესიულ საზოგადოებაში არსებული ფსიქოლოგიური ცოდნის მიღების ხელშეწყობა, ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება, სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რისთვისაც სტუდენტს უნდა:

- ა) შეასწავლოს საერთაშორისო და ეროვნული ფსიქოლოგიური სკოლის მიღწევები;
- ბ) გამოუმუშავოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;
- გ) შეასწავლოს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ასპექტები;
- დ) შეასწავლოს ფსიქოლოგიის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდები;
- ე) გამოუმუშაოს ფსიქოლოგიური ცნებებისა და კანონზომიერებების გამოყენებით, კომუნიკაციისა და მიღებული ცოდნის განახლების უნარი;
- ვ) გამოუმუშაოს პროფესიული კომპეტენციის, ეთიკის ნორმების და სოციალური ფასეულობების დაცვის უნარი;
- ზ) გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევების წარმოების საბაზისო უნარები.

2. სწავლის შედეგები

ა) ახდენს ფსიქოლოგიის საბაზისო დარგების, ფსიქოლოგიის გამოყენებით დისციპლინების და მომიჯნავე რელიევანტური მიმართულებების იდენტიფიკაციას; განარჩევს ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების მეთოდურ დისციპლინებს; ერთმანეთს ადარებს და აანალიზებს საერთაშორისო და ეროვნული ფსიქოლოგიური მიმდინარეობების სამეცნიერო საფუძვლებს და ღირებულებებს; გამოყოფს განმასხვავებელ და საერთო პოსტულატებსა და კანონზომიერებებს.

ბ) განახორციელებს საბაზისო ფსიქოლოგიურ კონსულტირებას: სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ორგანიზაციებში (ადამიანური რესურსის მართვის მიმართულებით), სარეკლამო სააგენტოებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებში

გ) აანალიზებს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის სამეცნიერო მიღწევებს; აფასებს ქართული ფსიქოლოგიური სამეცნიერო სკოლის ადგილსა და როლს, როგორც სამეცნიერო აზრის განვითარების ისტორიულ ჭრილში, ისე თანამედროვე კონტექსტში.

დ) კვალიფიციურად იყენებს ფსიქოლოგიის პრაქტიკულ ინსტრუმენტებს: კითხვარებს, ტესტებს, ინტერვიურებას, ფოკუს-ჯგუფების მეთოდებს, ჯგუფური და ინდივიდუალური კოსულტირების საბაზისო მიდგომებს.

ე) იყენებს განმარტების მეთოდებს, ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას; გადასცემს ინფორმაციას ზეპირი და წერილობითი ფორმით, მშობლიურ და უცხო ენაზე; შეუძლია ცოდნის განახლება - ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის სიახლეების საფუძველზე.

ვ) იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, პიროვნულ და სოციალურ ფასეულობებს.

ზ) იყენებს დაკვირვების, კონტექტ-ანალიზის, გამოკითხვის ტესტირების, მათემატიკური სტატისტიკისა და მონაცემთა პროგრამული დამუშავების საბაზისო მეთოდებს; გეგმავს და ატარებს ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს.

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			

შუალედური გამოცდა	30	8			
----------------------	----	---	--	--	--

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

4. პროგრამაზე მიღების წინაპირობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და გათვალისწინებულია ლექციების, სემინარების და ლაბორატორიული მეცადინეობების ორგანიზება, რომელიც აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს: დისკუსია/დებატები;

დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case Study); როლური აქტივობები და სხვა. სწავლების შედეგების მისაღწევად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.